

# ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებმა წითელი ნუსხით დაცული არჩვი მოკდეს



ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებმა წითელი ნუსხით დაცული არჩვი მოკდეს. ინფორმაციას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს. მათივე ცნობით, ფაქტის გამოვლენის შემდეგ მათ განცხადების საფუძველზე

დაკავებული თანამდებობები, პირადი დატოვეს.

ამასთან, არჩვის მოკვდის შემთხვევაში, გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა 30 000 დარს შეადგენს.

*„პანკისის ხეობაში, ხადორჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებისა და შსს ვახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა გადამოწმების მიზნით, გააჩერეს მოქალაქეები, რომლებსაც აღმოაჩნდათ რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი, ჩეზეს მარკის 3 ცარი შაშხანა, სავარაუდოდ საბრძოლო ვაზნებით და ასევე მოკდული და დანაწევრებული მამალი არჩვი.“*

შემდგომი გადამოწმებით დადგინდა, რომ მოქალაქეები ბ.ქ., ა.ბ. და ვ.ნ. ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლები იყვნენ. ფაქტის გამოვლენის შემდგომ, მათ დაკავებული თანამდებობები, პირადი განცხადების საფუძველზე დატოვეს. არჩვი საქართველოს

წითელი ნუსხით დაცული სახეობაა და მისი მოკვდის შემთხვევაში, გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა 30 000 ლარს შეადგენს. საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს“, – აღნიშნულია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.